ხელშეკრულება №13
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.საჩხერე.

17.11. 2015 წელი

ერთის მხრივ, აიპ - აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახ.მუზეუმი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანული წერეთელის სახით დამეორეს მხრივ შპს „საჩხერის კინო"(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით მ.ნებიერიძე .სახემწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1,1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახემწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2,1 ხელშეკრულების საგანია „აკ.კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლის სახ.მუზეუმის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3,1 შესყიდვების ობიექტია 70220000 (არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარა და ლიზინგი) კოდით გათვალისწინებული საქონელის შესყიდვა.

4 ხელშეკრულების ღირებულება

4,1, ხელშეკრულების ღირებულება საქონლის თანდართული ფასების მიხედვით შეადგენს ____________________50 (ორმოცდათი ლარი) ______________________________________________.

4,2ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯს და საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4,3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასი შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწიონებული შემთხვევებისა.

5 . ხარისხი და გარანტი

5,1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს.

ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.მხარეების უფლებები მოვალეობები

6,1 შემსყიდველს უფლება აქვს

6,1,1 პერიოდულად შეამოწმოს საქონელის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან:

6,1,2განახორციელოს კონტროლი და ხედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

6,2, შემსყიდველი ვალდებულია:

6,2, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

6,2,2 უზრუნველყოს საქონლის ინსპექტირება დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

6,2,3 ანგარიშსსწორება მოახდინოს მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად..

**6,3,მიმწოდებელს უფლება აქვს:**

6,3,1,მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6,3,2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 17 ნოემბერი 2015წლის 31 დეკემბრამდე

.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი:შპს ,,საჩხერის კინო"

მისამართი:ქ.საჩხერე თავისუფლების #9
საიდენტიფიკაციო 439392239
საბანკო რეკვიზიტები:

სს ,,საქართველოს ბანკი "
საბანკო კოდი: BAGAGE
ანგარიშის
ნომოერი.GE62BG0000000088606800

მ.ნებიერიძე ----------------- /მ.ნებიერიძე/

შემსყიდველი

ააიპ აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახ მუზეუმი.
მისამართი: საჩხერე,სოფ.კალვათა
ტელეფონი: 598 008186
საიდენტიფიკაციო კოდი: №239406399
საბანკო რეკვიზიტები
ლიბერთი ბანკი
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: №GE70LBO115191367679000

დირექტორი მ/შ

--------------------------------- /ნ. წერეთელი/